დამტკიცებულია
შპს მზეკაბანი 2-ის

დირექტორის 2024 წლის 5 აპრილი

N01/22 ა ბრძანებით

ხელმოწერა _____

დანართი #1

<u>შპს მზეკაბანი 2-ის სტრატეგიული დოკუმენტების - მისია, ხედვა, ღირებულებები, სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმების - შექმნის მეთოდოლოგია</u>

შპს მზეკაბანი 2-ის სტრატეგია (სტრატეგიული გეგმა) გამომდინარეობს დაწესებულების ხედვიდან, აზუსტებს მას კონკრეტული მიზნებით, ხოლო სამოქმედო გეგმა - სტრატეგიიდან: შლის სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილ მიზნებს უფრო მცირე და შედარებით ადვილად მართვად კომპონენტებად.
ამასთან, სკოლის სტრატეგიული გეგმის შედგენისას განსაზღვრულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სადაც გათვალისწინებულია ქვეყანაში ზოგადი განათლების განვითარების პრიორიტეტები, და დაინტერესებული მხარეების მოლოდინი,

სკოლის ხედვასთან მიახლოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული მიზანი იყოს

- ***კონკრეტული-*** *მკაფიოდ უნდა გვაჩვენებდეს რას გულისხმობს მიზანი. საკუთარ თავში არ უნდა შეიცავდეს ზოგად, ინტერპრეტაციისათვის სივრცის მომცემ ტერმინებს;*
- ***გაზომვადი-*** *იძლეოდეს მისი მიღწევის კუთხით არსებული პროგრესის ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას;*
- ***მიღწევადი-*** *თუ სტრატეგიული მიზანი არ არის მიღწევადი, იგი ვერც დაგვაახლოვებს ორგანიზაციის ხედვასთან;*
- ***რელევანტური*** *- გამომდინარეობდეს ორგანიზაციული ხედვიდან უკავშირდებოდეს მას და მივყავდეთ მის რეალიზაციამდე;*
- ***დროში გაწერილი-****დროში გაწერილი, ანუ მიგვითითებს, თუ როდის, რა ვადაში არის მისი შესრულება აუცილებელი, რაც ეხმარება ორგანიზაციას კონკრეტულ ვადაზე გათვლილი ხედვის რეალიზებაში.*
- ***მიზნის მიღწევის*** *ინდიკატორი არის ობიექტური დასტური იმისა, რომ სტრატეგიული მიზანი მიღწეულია. მიზნის მიღწევის ინდიკატორს ხშირად წარმატების ინდიკატორსაც ეძახიან, რადგან იგი გვეუბნება, რას დავინახავთ, თუკი ორგანიზაცია წარმატებით მიაღწევს დასახულ სტრატეგიულ მიზანს. წარმატების ინდიკატორის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვანია მიზნების მისაღწევად.*
- ***ამოცანები*** *არის ქვემიზნების "ჩაშლის მცდელობა" კიდევ უფრო მცირე კომპონენტებად.*

- ***შესრულების ინდიკატორი*** *არის ობიექტური დასტური იმისა, რომ ამოცანა მიღწეულია. იგი გვეუბნება, რას დავინახავ (ობიექტურად), რა გვექნება ხელთ, თუ სამოქმედო გეგმაში მითითებული ამოცანა იქნება მიღწეული.*
- ***აქტივობები*** *ის კონკრეტული ქმედებები, დავალებებია, რომლებიც უნდა შესრულდეს ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ გეგმაში მოცემული ამოცანების რეალიზებისთვის.*
- ***შესრულების ვადა*** *- სამოქმედო გეგმის ეს კომპონენტი საკმაოდ ექსპლიციტურია. ორი რამაა, რისი აღნიშვნაც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მასთან მიმართებაში:* ***1. შესაბამის გრაფიკში თარიღების მითითება*** *და 2.* ***შესრულების რეალური ვადა.***

  პასუხისმგებელი პირი *- ამ გრაფაში იწერება ორგანიზაციის საშტატო ერთეულის დასახელება, ვინაიდან პასუხისმგებელი პირი მიმაგრებულია კონკრეტულ აქტივობაზე და არა ამოცანაზე (სადაც ბევრი აქტივობაა);*

შპს მზეკაბანი 2-ის_სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გადახედვა და განვითარება ექვემდებარება ხარისხის განვითარების ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე და განავითარე.

1. შპს მზეკაბანი 2-ის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას საფუძვლად ედება **SWOT ანალიზის** შევსებული მატრიცა, სადაც გამოიკვეთილია დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასების დოკუმენტს - წლიურ ანგარიშს;
2. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავება ხდება სკოლის ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის, მოსაწავლეების, სოციალური პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და არის სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემადგენელი ნაწილი;
3. შპს მზეკაბანი 2-ის სტრატეგიის დოკუმენტი და მისი განხორციელების მოქმედებათა გეგმა ასევე მუშავდება სკოლის ადმინისტრაციისა და პერსონალის მიერ, მოსწავლეების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და მტკიცდება უფლებამოსილი პირის, სკოლის დირექტორის მიერ.

მონიტორინგი და შეფასება.

მონიტორინგი არის გეგმის შესრულების თვალყურის დევნება და დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/ შეფასება. მონიტორინგის წყალობით შესაძლებელია გეგმიდან „ გადახვევების“ დროული აღმოჩენა და მათზე რეაგირება არსებითი ზიანის დადგომამდე.

1. სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გადახედვა ხდება ყოველწლიურად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მონიტორინგისა და შეფასების შედეგად დამდგარი გარემოებების შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაციის და აკადემიური პრსონალის, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;
2. დაგეგმილი აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები 6 თვეში ერთხელ წარადგენენ შუალედურ ანგარიშების, რომლის შესაბამისად შეიძლება დაიგეგმოს და/ან მყისიერად განხორციელდეს საჭირო ცვლილებები არსებითი ზიანის დადგომამდე;

3. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე დაკვირვების და მონიტორინგის შედეგად შეგროვებული მონაცემების გაანალიზება ხდება წლის ბოლოს სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, რომელიც თავის მხრივ აფასებს დაგეგმილი ამოცანების შესრულების ხარისხს, ახდენს სრულად ან ნაწილობრივ განხორციელებული თუ განუხორციელებელ აქტივობების გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირების და გასცემს გაუმჯობესების რეკომენდაციებს.
4. სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმაში განსახორციელებელი ცვლილებები აისახება „გაუმჯობესების გეგმაში“, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თან ერთვის აღნიშნულ დოკუმენტებს.
5. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექტორი.
6. გეგმებში ცვლილებების განხორციელება მტკიცდება უფლებამოსილი პირის, სკოლის დირექტორის მიერ.